ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში

ზუგდიდი. 04 აპრილი 2014 წ.

სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა N 124

სამეგრელო-ზემო სვანეთში 2014 წელს საერთაშორისო ბიზნესფორუმის ჩატარების თაობაზე

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27^{1}–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, 27^{11}–ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების I თავის მე–5 მუხლის ,,რ" პუნქტის, მე–6 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის შესაბამისად:

1. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და მცირე და საშუალო ბიზნესის შემდგომი განვითარების მიზნით, მიღებულ იქნას სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის წინადადება 2014 წლის 31 მაისიდან 2014 წლის 2 ივნისის ჩათვლით სამეგრელო-ზემო სვანეთში 2014 წელს საერთაშორისო ბიზნესფორუმის ჩატარების თაობაზე;

2. ბიზნესფორუმის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე მომზადებისა და ჩატარების მიზნით შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ,,ჯგუფი") შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლევან შონია - სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი;

ბ) კობა ქანთარია - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილის მ/შ;

გ) ხვიჩა ჟიშკარიანი - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილის მ/შ;

დ) დათო სარსანია - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილის მ/შ;

ე) დათო კოდუა - რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მ/შ;

ვ) გელა სვირავა - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მ/შ;

ზ) აკაკი სარალიძე - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსის მოადგილის მ/შ;

თ) კახაბერ უბილავა - რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ი) ნუგზარ გაბელია - რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილის მ/შ;

2100. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი N45. ტელ.: 0 (415) 25 00 04, ფაქსი: 0 (415) 25 05 05.

კ) იასონ შეროზია - რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის მთავარი სპეციალისტის მ/შ;

ლ) ლალი ჯანჯღავა - რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მ) ნონა ნადარაია - რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის სპეციალისტი.

3. დაევალოს სამუშაო ჯგუფს შეიმუშაოს და წარმოადგინოს ფორუმის მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა გეგმა და უზრუნველყოს მისი პრაქტიკული განხორციელება;

4. აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციამ (სტრუქტურული ერთეულები) აღმოუჩინონ დახმარება ჯგუფს ფორუმის მომზადებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით;

5. კონტროლს განკარგულების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;

6. განკარგულება გადაეგზავნოს აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს;

7. განკარგულება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაიცული კოდექსის“ 180–ე მუხლის I ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამაართლოში, მის. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. N12.

საფუძველი: სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მ/შ დ. კოდუას 2014 წლის 21 მარტის N496 მოხსენებითი ბარათი.

ლევან შონია
სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორ